აკაკი თოფურიას პირადი ფონდი

საქართველოს სსრ ცსა
ფონდი / Фонд № 287 აღწერილობა / Опись № 1 საქ. ერთ. / ед. хр. № 370

საქართველოს სსრ ცსა
ფონდი / Фонд № 287 აღწერილობა / Опись № 1 საქ. ერთ. / ед. хр. № 370

დასკანირებულია 01
16·01·2025

12 ფ.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების
სამინისტროს უმაღლესი განათლების სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტი

დამტკიცებულია საქართველოს
სსრ უმაღლესი და საშუალო სპე-
ციალური განათლების სამინის-
ტროს კოლეგიის მიერ 1976 წლის
28 მაისს.

უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის პროგრამა

(პედაგოგიური ინსტიტუტებისათვის)

თ ბ ი ლ ი ს ი
1 9 7 9

რედაქტორი პროფ. ა კ. თ ო ფ უ რ ი ა

წინამდებარე პროგრამაში, რომლის გადამუშავებაში მონაწილეობას იღებდნენ ქართული ლიტერატურის სასწავლო-მეთოდური საბჭოს მიერ გამოყოფილი კომისიის წევრები პროფესორების: ს. ჭილაიას, დ. ბენაშვილის, ვ. ცისკარიძის, ი. ბოცვაძის და ღ. თევზაძის შემადგენლობით, გათვალისწინებულია პედაგოგიური ინსტიტუტების შესაბამისი კათედრებისგან მიღებული შენიშვნები და პრესაში გამოთქმული მოსაზრებანი. მისი საბოლოო ვარიანტი საბჭოს 1976 წლის 15 აპრილის სხდომაზე განხილვის შემდეგ დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს. ამრიგად, იგი იბეჭდება სათანადო წინასწარი აპრობაციის და სამინისტროს მოწონების საფუძველზე.

პროგრამის სტრუქტურული აგებულება და შინაარსი რამდენადმე განსხვავდება არსებულისაგან. მონოგრაფიული თემების შემცირების ხარჯზე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული უფრო სრულად გვეჩვენებინა უახლესი ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიული პროცესი მისი საწყისი პერიოდიდან 40-იან წლებამდე. ქართული საბჭოთა ლიტერატურის ეს მონაკვეთი (20-იანი, 30-იანი და 40-იანი წლები) წარმოდგენილია ჟანრობრივი მრავალფეროვნებით, როგორც განვითარების ერთიანი პროცესის გამოხატულება. განმეორებათა თავიდან აცდენის მიზნით ამ ზოგადმიმოხილვით ნაწილში მოქცეული არ არის არც ერთი მონოგრაფიულად შესასწავლი მწერალი და მათი ნაწარმოებები. რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს მათ გარეშე მთელი განვლილი პროცესების განხილვა-გაშუქებას.

ამიტომ, პროგრამის ეს ნაწილი საგნის ლექტორისაგან გარკვეულ შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს. ასევე შემოქმედებითად, სწორი იდეურ-ესთეტიკური პოზიციებით უნდა შეძლოს

მან ქართული საბჭოთა ლიტერატურის ომისშემდგომი წლების, თანამედროვე პერიოდის მთავარი ტენდენციების შესახებ სტუდენტებისათვის საჭირო ცნობების მიწოდება. ამ ტენდენციებსა და პროცესებს არსებითად ისინი დამოუკიდებლად, სამეცნიერო და ლიტერატურულ წრეებში აქტიური მონაწილეობის გზით უნდა ეცნობოდნენ. პროგრამით გათვალისწინებული საორიენტაციო საკითხები ნავარაუდევია დასკვნითი-შემაჯამებელი მეცადინეობისათვის.

ქართული ლიტერატურის სასწავლო-მეთოდური საბჭო

უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საგანი, მისი სათავე, ეპოქის ხასიათი და თავისებურებანი. მემკვიდრეობითი კავშირი მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ტრადიციებთან. ლენინი განმათავისუფლებელი მოძრაობის სამი ეტაპის შესახებ და მისი მნიშვნელობა მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობის პერიოდიზაციისათვის. უახლესი ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპები.

I. 1890-იანი წლებიდან 1921 წლამდე

1. XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურა

სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში და პროლეტარიატის როგორც რევოლუციური კლასის ჩამოყალიბება. ანტაგონისტური წინააღმდეგობის გამწვავება ქალაქად და სოფლად. მარქსიზმის გავრცელება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. „მესამე დასი“ და მისი დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი, ხელოვნებისადმი, წინა თაობის მწერლობისადმი. იდეურ-პოლიტიკური ბრძოლა „მესამე დასის“ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის.

ამ მოვლენების ასახვა. კლასობრივი და იდეოლოგიური ბრძოლის გამოხატულება 1890—1900-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში. ქართული სოციალური რომანის შექმნა (ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას „მოლიპულ გზაზე“, „ბედის ტრიალი“ და სხვ.). მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ჩასახვა (ა. წულუკიძის, ფ. მახარაძის, ი. გომართელის და სხვათა ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები) და მისი ბრძოლა ლიტერატურის ახალი გზით განვითარებისათვის. ლიტერატურის ეანრობრივი მრავალფეროვნება, როგორც ამ დროის მწერლობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება (ეტიუდების, ესკიზების, ნოველების, დღიურების, საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი ლირიკის სახეობათა გავრცელება და დამკვიდრება).

მაქსიმ გორკი — სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი. გორკისებური იდეების და მხატვრული პრინციპების გამოძახილი

ჩვენში. სოციალისტური რეალიზმის ელემენტების ასახვა რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურაში (ი. ევდოშვილი, შ. დადიანი, ლ. ქიაჩელი). ახალი ეპოქის კრიტიკული რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ეგნატე ნინოშვილი (1859—1894). ბიოგრაფია. ე. ნინოშვილი, როგორც „მესამე დასის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი და ახალი ლიტერატურული სკოლის მეთაური. სოფლის კლასობრივი დიფერენციაციის. კაპიტალიზმის შემოჭრის. კლასობრივი ბრძოლის გამძაფრების ასახვა ნინოშვილის შემოქმედებაში. თავადაზნაურობის ღეგრადაციის გამოხატვა („ჩვენი ქვეყნის რაინდი“, „ქრისტინე“, „სოფლის გმირები“). ნინოშვილის დამოკიდებულება ისტორიულ თემასთან. „ჯანყი გურიაში“ და ეროვნული და კლასობრივი ბრძოლის საკითხი ამ რომანის მიხედვით. ინტელიგენტის ახალი ტიპი („ჩვენი ქვეყნის რაინდი“). გლეხთა ტიპები („განკარგულება“, „„გოგია უიშვილი“, „პალიასტომის ტბა“, „სიმონა“). ქალთა სახეები ნინოშვილის შემოქმედებაში (დარიკო, დესპინე, ქრისტინე, გულო). ე. ნინოშვილის პუბლიცისტური წერილების პათოსი და იდეური სიახლე. „ძველი დავა ახალ ქერქში“, როგორც მარქსისტული იდეებით შთაგონებული პირველი პუბლიცისტური წერილი ქართულ რევოლუციამდელ ლიტერატურაში; მუშათა კლასის ცხოვრების გამომხატველი პირველი რომანის „მუშათა თავშესაფარის“ ჩვენამდე მოღწეული ნაწყვეტები. ე. ნინოშვილის სტილის თავისებურებანი. ნინოშვილის ადგილი უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ლალიონი (არსენ მამულაშვილი) როგორც ნინოშვილის სკოლის მიმდევარი.

ვასილ ბარნოვი (1857—1934). ბიოგრაფია. ბარნოვის მსოფლმხედველობა. ბარნოვის სოციალური მოთხრობები. („სადეოფლო სარტყელი“, „ფარჩის ახალუხი“, „ხურდა“, „გველის ზეიმი“, „ვერცხლით სნეული“, „ამქრის მშვენება“, „განასკვილი სიმი“) ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები: ძირითადი კონფლიქტები, ურთიერთობა ისტორიულ ფაქტსა და მხატვრულ გამონაგონს შორის, ფსიქოლოგიზმი, პერსონაჟთა ხატვის ხერხები: („არმაზის

მსხვრევა“, „ტრფობა წამებული“, „მიმქრალი შარავანდედი“). ვასილ ბარნოვის სტილი, რიტმული პროზა. არქაიზმი.

დავით კლდიაშვილი (1862—1931). ბიოგრაფია. კაპიტალიზმის განვითარება და თავადაზნაურობის ყოფის რღვევა. „შემოდგომის აზნაურთა“ ბედის ასახვა („სოლომან მორბელაძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაჭირვება“). აზნაურთა ტიპები და მათი გახსნავებულობის სოციალური და პიროვნული საფუძველი. ცრუმორწმუნეობის მხილება დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში („შერისხვა“, „მსხვერპლი“, „მიქელა“). დ. კლდიაშვილის დრამატურგია („ირინეს ბედნიერება“, „დარისპანის გასაჭირი“, „უბედურება“). საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დაწერილი მოთხრობები და მათი ხასიათი („შუა ცეცხლის პირას“, „კიმოთე მეშველიძე“). მემუარული ნაწარმოები „ჩემი ცხოვრების გზაზე“. დ. კლდიაშვილის სტილი. დ. კლდიაშვილის იუმორის ხასიათი და მხატვრული ფუნქცია. კომიკურისა და ტრაგიკულის ურთიერთმიმართება. დ. კლდიაშვილის პროზის ენა.

შიო არაგვისპირელი (1867—1926). ბიოგრაფია. არაგვისპირელის თხზულებათა ძირითადი თემატიკა. ხალხსნური ლიტერატურის კვალი და მისგან გამიჯვნა („მამას მიწა მივაყარეთ“, „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო“, „განი“). კაპიტალისტური საზოგადოების მორალის მხილება („ანტონ ზურაბიჩი“, „გმადლობ, უფალო“, „ჰარამხანის სურათი“, „მომილოცნია ახალი წელი“). სიყვარულის თემა („ხითხითებს და ხითხითებს“, „მხრებიდა ავიჩეჩე“, „ქარი კი ამ დროს...“ „წერილის ნაგლეჯი“, „გიული“, „გაბზარული გული“). პატრიოტიზმის მოტივი („მიწაა“, „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“). ადამიანის არსისა და დანიშნულების გაგება („ღირსი ვარ ამისა, ღირსი“, „შემუსვრილი სამი მცენრბა“, „ციცინათელა“). პიროვნება და საზოგადოება („ადამიანი“, „რა ზიზღით მიცქერის“). 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის გამოსახვა („მიჯაჭვული ამირანი“, „სამარცხვინო ბოძთან“, „და აჰა, მოვიდა მოგვი...“). შ. არაგვისპირელი — ქართული ფსიქოლოგიური ნოველის ფუძემდებელი. ფსიქოლოგიზმის ხატვის ხერხები. ნოველისტური კომპოზიცია. ენობრივი თავისებურებანი.

2. 1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდის ლიტერატურა

მუშათა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა. 1905 წლის რევოლუციის ძირითადი მამოძრავებელი ძალები. რევოლუციის პერიოდის ლიტერატურული ცხოვრება. ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა ფშაველას დამოკიდებულება რევოლუციისადმი. მუშათა რევოლუციური პოეზია, პროზა და დრამატურგია 1905-იან წლებში.

ვ. ი. ლენინის სტატია „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, მისი ისტორიული მნიშვნელობა. ლენინი ლიტერატურის კლასობრიობისა და ხალხურობის შესახებ.

იროდიონ ევდოშვილი (1873—1916). ბიოგრაფია. შემოქმედების ძირითადი მოტივები. მუშათა ცხოვრების სურათები, მუშის ბედი კაპიტალიზმის პირობებში („საღამო ქალაქში“, „მუშა“, „მჭედელი პეტრე“, „მუშის სიზმარი“, „რას შესცქერ, ძმაო...“, „შადრევანი“). რევოლუციური ბრძოლის მოტივები („მეგობრებს“, „სიმღერა“, „ქარიშხალი“, „პირველი სხივი“). ხელოვნების დანიშნულება („მუზა და მუშა“). კაპიტალისტური საზოგადოების გერები („მატანტალა“, „განკიცხული“, „მოდის, მოგოგავს“). ევდოშვილის მოთხრობები („ორი ობოლი“, „შადრევანი“, „დანგრეული კერპი“, „გველების ყორე“, „ცისში“). ი. ევდოშვილის გავლენა რეაქციის პერიოდის ქართულ მწერლობაზე. სატირა ირ. ევდოშვილის შემოქმედებაში. ევდოშვილის პოეზიის მომწოდებლური, ორატორული ხასიათი. ი. ევდოშვილი — რევოლუციური პოეზიის ფუძემდებელი საქართველოში. მისი ლექსების მხატვრული დონის ზოგადი დახასიათება. ი. ევდოშვილი — საბავშვო მწერალი.

ჭოლა ლომთათიძე (1878—1915). ბიოგრაფია. ადრინდელი მოთხრობები („დავითი“, „ცხოვრების გულიდან“, „ხიცრეი“, „დასაფლავება“, „მატლი“, „აქრეთ სინათლე, აქრეთ, მე მაინც ავანთებ მას“). სოციალისტ-რევოლუციონერთა წარმომადგენლები („საპყრობილეში“, „ჩემი დღიური“, „სახრჩობელას წინაშე“, „თეთრი ღამე“, „ძე კაცისა“). პროტესტი თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ („სახრჩობელას წინაშე“, „პირველი მაისი“). სიმბოლიზმის მოტივები („დუმილი“, „კვლავ ფიქრი, ფიქრი“). ეროვნული მოტივი („უბის წიგნიდან“). ჭ. ლომთათიძის პროზის

ლირიკული ბუნება. ლირიზმის ხერხები. დღიურის ფორმა. პიროვნულისა და საზოგადოებრივის ურთიერთმიმართება ჭ. ლომთათიძის დღიურებში.

3. რეაქციისა, პირველი იმპერიალისტური ომისა და 1917 წლის თებერვლის რევოლუციის პერიოდის ქართული ლიტერატურა

დემოკრატიულ-რევოლუციური, ე. წ. ევდოშვილის სკოლის მწერლების (ნ. ჩხეიკვაძე, გ. ქუჩიშვილი, ვ. რუხაძე, ს. თავაძე, ხ. ვარდოძვილი, დ. მეგრელი) ძირითადი შემოქმედებითი თემატიკა, მათი იდეური და მხატვრული თავისებურება. რეალისტური ტრადიციების განვითარება ამ პერიოდის მწერალთა ახალი თაობის მიერ. იმპრესიონიზმის ნიშნები ქართულ ლიტერატურაში.

სიმბოლისტურ-დეკადენტური მიმართულების წარმოშობა საქართველოში. „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული სკოლა. მისი პროგრამა, შემოქმედებითი პრინციპები, პერიოდული ორგანოები („ცისფერი ყანწები“, „მეოცნებე ნიამორები“, „მშვილდოსანი“, „ბარიკადი“ და სხვ.). **ვალ. გაფრინდაშვილის, პ. იაშვილის** თეორიული წერილებისა და ლიტერატურული პროდუქციის ზოგადი მიმოხილვა. „ცისფერი ყანწები“ და დასავლური სიმბოლიზმი. „ცისფერყანწელთა“ სკოლის იდეოლოგიური პოზიციების კრიტიკა. „ცისფერყანწელთა“ როლი ქართული პოეტური კულტურის განვითარებაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება. ივ. ჯავახიშვილის როლი ამ ეროვნულ საქმეში. ამ პერიოდის ლიტერატურული კრიტიკის ძირითადი ტენდენციები (კ. აბაშიძე, ი. გომართელი, ფ. მახარაძე და სხვ.). კრიტიკული რეალიზმი, როგორც ამ პერიოდის ქართული მწერლობის მთავარი მიმართულება.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გადაფასება ქართველი მწერლების ერთი ნაწილის მიერ (ვ. რუხაძე, ნ. ჩხეიკვაძე, ა. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, ს. შანშიაშვილი, გ. ქუჩიშვილი და სხვ.). მენშევიკური სინამდვილე, როგორც უიმედობისა და სულიერი დაცემულობის წყარო ქართული მწერლობისათვის. სატირისა და იუმორისტული ჟანრის აღმავლობა ამ პერიოდის ლიტერატურაში (თაგუნა და სხვ.). მენშევიკური ხანის მხატვრული პერიოდული პრესა („ცისარტყელა“ და სხვ.).

ოქტომბრის რევოლუციისა და ლენინის თემა ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში (გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, დ. სულიაშვილი და სხვ.). ქართველ პროლეტარულ მწერალთა პირველი თაობა (ს. ეული, ნ. ზომლეთელი, რ. კალაძე, პ. სამსონიძე, ი. ლისაშვილი, ი. ვაკელი, კ. ფეოდოსიშვილი) და შემოქმედების თემატიკა, მხატვრულ გამომსახველობითი ფორმები.

II. 1921 წლიდან 1970-იან წლებამდე

1. ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების პირველი პერიოდი — ოციანი წლები (1921—1931)

საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში და ქართული მწერლობა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური განვითარებისათვის. ქართული საბჭოთა მწერლობის ორგანიზაციულ-შემოქმედებითი ფორმირების პროცესის სირთულე მწვავე კლასობრივ-იდეოლოგიური ბრძოლის პერიოდში. ქართული საბჭოთა ლიტერატურის ნოვატორული ბუნება, მისი ინტერნაციონალური ხასიათი და განვითარების გზა მრავალეროვან საბჭოთა მწერლობის ოჯახში. ქართველ მწერალთა კონტაქტები რუსი და სხვა მოძმე ერების ლიტერატურების წარმომადგენლებთან. გორკისა და მაიაკოვსკის შემოქმედებითი კავშირი და მეგობრობა ქართველ მწერლებთან.

რეალიზმი როგორც ძირითადი ესთეტიკურ-მხატვრული მიმართულება ამ პერიოდის მწერლობაში და მისი ბრძოლა ფორმალისტურ-დეკადენტურ სკოლებთან. თანამედროვეობის პრობლემა ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში. ლიტერატურული ასოციაციები და დაჯგუფებები („პროლეტარული მწერლობა", „ცისფერი ყანწები", „აკადემიური ასოციაცია", „ფუტურისტ-ლეფელები", „პროლეტფაფი", „არიფონი", „ლიტფრონტი"). მათი თანაარსებობის ობიექტური როლი ქართული საბჭოთა მწერლობის ფორმირებაში. ექსპრესიონიზმისა და კონსტრუქტივიზმის გამოძახილი ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში. რკპ (ბ) ცკ-ის 1925 წლის 18 ივნისის რეზოლუცია „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში" და მისი ისტორიული მნიშვნელობა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის.

ქართველ მწერალთა პირველი ყრილობა (1926). ოციანი წლების ქართული ლიტერატურის (ლირიკა, ეპოსი, დრამატურგია) ძირითადი თემატურ-ჟანრობრივი თავისებურება, მხატვრულ-იდეური მიმართულება და განვითარების ტენდენციები. პოლიტიკური ლირიკა, როგორც ამ პერიოდის ქართული პოეზიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი. ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პოლიტიკის გამარჯვება ქალაქად და სოფლად. ძველი სამყაროს რღვევის, მომაკვდავი კლასების აგონიისა და ახლის დაბადების პროცესის გამოსახვა ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში. დოკუმენტური პროზა. ძირითადი ქართული მხატვრული პერიოდული ორგანოები (ჟურნ. „მნათობი", „პროლეტარული მწერლობა", „ქართული მწერლობა"). ქართველ მწერალთა მეორე ყრილობა (1928). პროლეტარულ მწერალთა ახალი თაობები (ალ. მირცხულავა, კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, პ. ჩხიკვაძე, ი. აბაშიძე, ა. გომიაშვილი და სხვ.). პროლეტარული მწერლობის ასოციაციის — „რაპპის" მცდარი და მიუღებელი ლიტერატურული და შემოქმედებითი პრინციპები, როგორც ძირითადი შემფერხებელი ორგანიზაციული ფორმა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის.

პ ო ე ზ ი ა: გ. ქუჩიშვილის „რევოლუცია", „აწყვეტილი ამირანი". პ. იაშვილის „ახალ საქართველოს", „პოეზია", ს. შანშიაშვილის „დედისერთა ლენინთან", ა. აბაშელის „ჰაეროპლანი სოფლად", ვ. გაფრინდაშვილის „სიმღერა"; კ. ნადირაძის „წითელი მოედანი", კ. კალაძის „ძახილი აღმოსავლეთს", „მხედრული" და სხვ. ტ. გრანელის ლექსები და მათი ლირიკულ-კამერული ბუნება.

პ რ ო ზ ა: ს. კლდიაშვილის „პროვინციის მთვარე", ნ. მიწიშვილის, „ეპოპეა", პ. ჩხიკვაძის „სართულები", „ამხანაგი ბუთხუზი", რ. გვეტაძის „თეო" და სხვ.

დ რ ა მ ა ტ უ რ გ ი ა: გ. ბუხნიკაშვილის „შეშინებული ანთიმოზი", ს. შანშიაშვილის „ჰერეთის გმირები", კ. კალაძის „ხატიჯე", „როგორ". ეროვნული დრამატურგია როგორც ქართული თეატრის რეპერტუარის მთავარი წყარო.

2. ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების მეორე პერიოდი — ოცდაათიანი წლები (1932—1941)

30-იანი წლები, როგორც ახალი ეტაპი საბჭოთა საზოგადოების განვითარებასა და მხატვრული აზროვნების ისტორიაში. სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილება „საელიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ" და მისი ისტორიული მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის. საბჭოთა მწერლების კავშირის დაარსება: მწერალთა სრულიად საკავშირო პირველი ყრილობა (1934) და მისი როლი მოძმე ხალხების შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაციის საქმეში. გორკის მოხსენება ყრილობაზე. საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდის — სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრება ქართულ ლიტერატურაში. მისი პრინციპები და ნოვატორული ბუნება.

სოციალისტური გარდაქმნების გამოსახვისა და დადებითი გმირის პრობლემა ოცდაათიანი წლების, ქართულ ლიტერატურაში. ახალი ადამიანის ფორმირება სოციალისტური შრომის პროცესში. ამ პროცესის ჩვენება — ოცდაოთიანი წლების საბჭოთა ლიტერატურის უმთავრესი საგანი. ლიტერატურული კრიტიკის ხასიათი. მისი ბრძოლა ხალხურობისა და მაღალმხატვრულობისათვის, ფორმალიზმის, ნატურალიზმის, ერთფეროვნებისა და სახოტბო ლირიკის წინააღმდეგ. ჯგუფობრიობისა და რაპპული კრიტიკის გადმონაშთები. ვულგარიზმისა და სუბიექტივიზმის რეციდივები. მისი უარყოფითი გაელენა. ქართული მწერლობის ეანრობრივ-სახეობრივი მრავალფეროვნება. მოძმე ხალხთა ლიტერატურების ურთიერთგავლენა. იდეური ერთიანობა და მხატვრულ-ფორმისეული თავისებურებანი. ახალი შემოქმედებითი ძალების მოსვლა ქართულ მწერლობაში. ჟურნ. „ჩვენი თაობა" და მისი როლი ქართული მხატვრული აზროვნების განვითარებაში.

პ ო ე ზ ი ა: პ. იაშვილის „კოლხიდის პირველ მოსახლეს", „როგორც აფრის ტაცუნი", ალ. აბაშელის „ახალ საქართველოს", „სიმღერა სამშობლოზე", კ. ნადირაძის „ორფეოსის სიმღერა", კ. კალაძის პოემა „უჩარდიონი", ლ. ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოები", „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი", მ. გელოვანის „შავნაბადა" და სხვ.

პ რ ო ზ ა: პ. ჩხიკვაძის „ნაბიჯებს", პ. საყვარელიძის „დაფანტული ფურცლები", გ. ბაზოვის „ფეთხაინი", ს. კლდიაშვილის „ფერფლი", „სვანური მოთხრობები", პ. ლორიას „ძეგლუდი", ი. ლისაშვილის „ლადო კეცხოველი", ალ. ქუთათელის „პირისპირ" (პირველი წიგნი), რ. გვეტაძის „ლაშარის საღამოები", ა. ბელიაშვილის „ახალგაზრდები" და სხვ.

დ რ ა მ ა ტ უ რ გ ი ა: ი. ვაკელის „შამილი", ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა", ს. შანშიაშვილის „ანზორ", „ორსენა", გ. მდივნის „ალკაზარი", „სამშობლო", გ. ბაზოვის „იცა რიჟინაშვილი", ვ. გაბესკირიას „მათი ამბავი" და სხვ.

3. დიდი სამამულო ომის პერიოდის მწერლობა (1941—1945)

ქართული საბჭოთა მწერლობის თემატიკის გარდაქმნა საომარ ყაიდაზე. ამ პერიოდის მწერლობის ეანრობრივ-სახეობრივი თავისებურება. ლექსი, ნარკვევი, მოთხრობა, ნოველა და პუბლიცისტური სტატია, როგორც ოპერატიული და გავრცელებული ფორმა ამ პერიოდის მწერლობაში. სამშობლოს დაცვის, საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობის, მონოლითობის, თავისუფლებისათვის გმირული ბრძოლის თემა, როგორც ქართული ლიტერატურის ძირითადი გამსჭვალავი თემა. ისტორიულ-პატრიოტული თემატიკა.

პ ო ე ზ ი ა: ალ. აბაშელის „არ მოუშვა, დაჰკარი", „მთები დაღესტანისა", კ. კალაძის „ბუქარაული", „ბარათი დედას", ლ. ასათიანის, „ცხრა ძმა ხერხეულიძე", მ. გელოვანის, „სამშობლო მეძახის", რ. მარგიანის „მუმლი მუხასა", „მე უბით ვატარებ პატარა ბარათს", ი. ნონეშვილის „დედის დარიგება", „სიმღერა ზოია კოსმოდემიანსკაიაზე", ხ. ბერულავას „ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო შალამბერიძე" და სხვ.

პ რ ო ზ ა: რ. გვეტაძის „მართალი ნოველები", გრ. ჩიქოვანის „ფოსტალიონის სიკვდილი", ა. ბელიაშვილის „ბესიკ გაბაშვილის ცხოვრება" და სხვ.

დ რ ა მ ა ტ უ რ გ ი ა: ლ. გოთუას „ერეკლე“. ს. შანშიაშვილის „კრწანისის გმირები“, მ. ჯაფარიძის „ჯამთაბერის ასული“. გ. შატბერაშვილის „ფიქრის გორა“ და სხვ.

შალვა დადიანი (1874—1959). ბიოგრაფია. შ. დადიანის ადრინდელი პროზა. რევოლუციის თემა ადრინდელ შემოქმედებაში. სოციალური ურთიერთობისა და კლასობრივი ბრძოლის გამოხატვა („როს ნადიმობდნენ“, „მღვიმეში“. „გეგეჭკორი“). ნიადაგგამოცლილი თავადაზნაურობის ჩვენება („გუშინდელნი“, „შენი ჭირიმე“). ისტორიული რომანი („გიორგი რუსი“). სოციალისტური სინამდვილის დამკვიდრებისა და ძველი ტრადიციების რღვევის ასახვა („თეთნულდი“). რომანი საქართველოს რევოლუციურ წარსულზე („გვირგვილიანების ოჯახი“). მემუარული ნაწარმოები („რაც გამახსენდა“). შ. დადიანის ადგილი ქართულ საბჭოთა. ლიტერატურაში.

მიხეილ ჯავახიშვილი (1880—1937). ბიოგრაფია. შემოქმედებითი გზის დახასიათება. ადრინდელი მოთხრობები („ჩანჩურა“. „მეჩექმე გაბო“ და სხვ.). ლიტერატურული მოღვაწეობის განახლება და ამ პერიოდის მოთხრობები („ტყის კაცი“, „ლამბალო და ყაშა“, „მართალი აბდულაჰ“). მ. ჯავახიშვილის რომანები („ჯაყოს ხიზნები“, „თეთრი საყელო“, „კვაჭი კვაჭანტირაძე“. „გივი შადური“. „არსენა მარაბდელი“, „ქალის ტვირთი“). მათი ადგილი ქართული რომანისტიკის განვითარებაში. მ. ჯავახიშვილის წერილები ლიტერატურის, ენის, ხელოვნების საკითხებზე. წერის მანერა. პორტრეტის ხატვის ხელოვნება. ენობრივი თავისებურებანი. ფსიქოლოგიზმი.

ნიკო ლორთქიფანიძე (1880—1944). ბიოგრაფია. იმპრესიონიზმი ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში („უიალქნოდ“, „შელოცვა რადიოთი“, და სხვ.). ადამიანის ბუნებისა და დანიშნულების საკითხი („დადიანის ასული და მათხოვარი“. „პანაშვიდი“). „პატარა ადამიანის“ თემა („პატარა კაცი“. „უიალქნოდ“). ძველი საქართველოს ცხოვრების ასახვა („რაინდები“, „მრისხანე ბატონი“. „ჟამთა სიავე“). კაპიტალიზმის განვითარებისა და ამ ნიადაგზე თავადაზნაურობის გადაშენების პროცესი („დანგრეული ბუდეები“). ძველი სოფლის გლეხთა ყოფა („კერიასათვის“, „ტრაგედია უგმიროდ“ და სხვ.). ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებითი გზა სოციალისტური რევოლუციის შემდეგ („ბილიკებიდან ლიანდაგებზე“. „მოქანდაკე“ და სხვ.). ნოველები და მინიატურები („თავსაფრიანი დედაკაცი“, „გული“, „ბოროტმოქმედნი“, „იყიდება საქართველო“ და სხვ.). ნ. ლორთქიფანიძის სტილის დამახასიათებელი ნიშნები: ლირიზმი, ტიპიზაციის ხერხები. ლაკონიზმი, ფსიქოლოგიზმი. ყოფითი დეტალები. რიტმული პროზის საკითხი ნ. ლორთქიფანიძის მინიატურებში.

ლეო ქიაჩელი (1884—1963). ბიოგრაფია. ადრინდელი ნოველები („სტეფანე“. „ჯადოსანი“. „ცოდვის შვილები“). სიმბოლიზმისა და იმპრესიონიზმის ნიშნები ამ ნოველებში. რევოლუციისა და რეაქციის თემა ქიაჩელის შემოქმედებაში („ტარიელ გოლუა“. „სისხლი“), სამოქალაქო ომის თემა („ჰაკი აძბა“). „ყოფილი ადამიანის“ თემა („თავადის ქალი მაია“). საკოლმეურნეო სოფელი და ახალი ადამიანის ფორმირების საკითხი („გვადი ბიგვა“). დიდი სამამულო ომის ასახვა („მთის კაცი“. „მამა და შვილი“). ლ. ქიაჩელის მხატვრული ოსტატობა. ფსიქოლოგიზმი („ალმასგირ კიბულანი“). ხასიათის ხატვის ხელოვნება („ტარიელ გოლუა“, „გვადი ბიგვა“, „თავადის ქალი მაია“). სოციალისტური რეალიზმის ნიშნები ქიაჩელის შემოქმედებაში. ქიაჩელის სბავშვო ნაწარმოებები.

იოსებ გრიშაშვილი (1889—1966). ბიოგრაფია. იოსებ გრიშაშვილი და ქართული პოეზიის ტრადიციები. სამოქალაქო მოტივები და ბრძოლის თემატიკა ადრინდელ ლექსებში. („ტუსაღის სიმღერა“. „განთიადი“, „ზამთარი“). პატრიოტიზმის თემა („სამშობლოს ნანგრევები“, „ოღონდ მაცალეთ“). ქალისა და სიყვარულის კულტი („ქურდული ალერსი“, „დარჩი, დარჩი“. „ყურბალიში“. „ხელთათმნის ღილი“, „ლოცვა ჟამსა წყევისასა“, „ლია“, „ქორწილი ჩვენს უბანში“) როგორც განმსაზღვრელი მოტივი გრიშაშვილის რევოლუციამდელი ლირიკისა. ძველი თბილისი ი. გრიშაშვილის პოეზიაში („აშპაშხანისკენ“, „თათრის ქალი სუბსარქისში“. „ტრიოლეტები შეითან ბაზარში“). ახალი თბილისის თემა („გამოთხოვება ძველ თბილისთან“, „სამშობლოსადმი“, „გრიგოლ ორბელიანი კომკავშირის ხეივანში“, „ახალი თბილისი“). დიდი სამამულო ომი ი. გრიშაშვილის პოეზიაში. („მეხსტორიევ, წიგნი დახურე“, „ბალადა ხელმანდილზე“, „ორი სიტყვა“). ი. გრიშაშვი-

ლი — ლიტერატურის მკვლევარი. ი. გრიშაშვილის პოეტიკა. ქალაქური ფოლკლორის გავლენა. ი. გრიშაშვილის საბავშვო ლექსები.

გალაკტიონ ტაბიძე (1891—1959). ბიოგრაფია. 1905 წლის რევოლუციისა და რეაქციის გავლენა გ. ტაბიძის პოეზიაზე. გ. ტაბიძე და ქართული კლასიკური პოეზია. ნ. ბარათაშვილი და გ. ტაბიძე. სიმბოლიზმის გავლენა და წინააღმდეგობანი გალაკტიონის რევოლუციამდელ პოეზიაში. ფილოსოფიური ლირიკა („მე და ღამე", „მესაფლავე", „თოვლი", „უდაბნო", „შავი ყორანი", „ათოვდა ზამთრის ბაღებს", „მთაწმინდის მთვარე", „ლურჯა ცხენები" და სხვ.). ბუნების რომანტიკული გაგება („ჩუმი შრიალით ხის ფოთლები მეგებებიან", „შემოდგომის მოტივები"). ადრინდელი ლექსების რევოლუციური რომანტიკა („პირველი მაისი", „მე დავიბადე განთიადისას", „ზევით ასწიეთ მზე, ზევით"). გ. ტაბიძე და რევოლუცია („წერილი მეგობრებისადმი", „გემი დალანდი", „დროშები ჩქარა". „რამდენიმე დღე პეტროგრადში"). საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში და რევოლუციის მიღება („ჩვენ, პოეტები საქართველოსი"). სოციალისტური მშენებლობის პათოსი, ახალი ადამიანი („ეპოქა", „რევოლუციური საქართველო"). პატრიოტული ლირიკა („მშობლიურო ჩემო მიწავ", „ღრუბლები ძაუგთან", „სამშობლო"). ბოლო პერიოდის ლექსები („ნიკორწმინდა", „ასპინძა", „მესხის გამოხედვა"). გ. ტაბიძის ეპიკური ნაწარმოებები: „ჯონ რიდი", „აკაკი წერეთელი", „საუბარი ლირიკის შესახებ", „მშვიდობის წიგნი". გ. ტაბიძე — უახლესი ქართული ლექსის რეფორმატორი და ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გ. ტაბიძის პოეტიკა.

კონსტანტინე გამსახურდია (1891—1975). ბიოგრაფია. შემოქმედებითი გზა. დეკადენტური მწერლობის ადრინდელი გავლენა („მკვდართან შეხვედრა", „პორცელანი", „ლილ"). „ზედმეტი ადამიანის" თემა კ. გამსახურდიას შემოქმედებაში („დიონისოს ღიმილი", „მთვარის მოტაცება"). თანამედროვეობის ამსახველი რომანები („მთვარის მოტაცება", „ვეზის ყვავილობა"). ისტორიული წარსულის ასახვა („დიდოსტატის მარჯვენა", „დავით აღმაშენებელი").

ისტორიული რომანის გამსახურდიასეული კონცეფცია. კ. გამსახურდია — ნოველისტი („დიდი ოსები". „ხოგაის მინდია", „ტაბუ", „ქოსა გახუ" და სხვა). მხატვრული ოსტატობა, მითოსის ადგილი გამსახურდიას შემოქმედებაში. ენა, სტილი.

ტიციან ტაბიძე (1895—1937). ბიოგრაფია. ტიციან ტაბიძე და ქართული სიმბოლიზმი. პოეტის ესთეტიკურ-მხატვრული მრწამსის გარდატეხა; რუსი და კავკასიის ხალხებისადმი მიძღვნილი ლექსები. როგორც საბჭოთა ხალხების ძმური ოჯახის საგალობელი; ხალხთა სოლიდარობისა და ინტერნაციონალიზმის თემა ტ. ტაბიძის პოეზიაში. საბჭოთა პატრიოტიზმის მოტივები („მაშ გამარჯვება", „ოქროყანა", „ლექსი მეწყერი", „არცერთი სიტყვა არ დამცდენია", „თბილისის ღამე". „რია რია", „ცა მაღალია, მთაც მაღალია". „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე", „აპრილი ორპირში", „ორპირელი კომკავშირელი კრემლში", „სამშობლო"). პოეტური ეპოსი. მხატვრული ნარკვევები თარგმანები და ლიტერატურული წერილები. ტ. ტაბიძის ლექსის თავისებურება.

პოლიკარპე კაკაბაძე (1895—1973). ბიორგაფია. პ. კაკაბაძის დრამატურგიის ადრინდელი ნიმუშები („სამი ასული". „ლისაბონის ტუსაღები"). კომედია „ყვარყვარე თუთაბერი" და მისი ადგილი ქართულ კომედიოგრაფიაში. საბჭოთა სოფლის თემა („კოლმეურნის ქორწინება", „ცხოვრების ჯარა"). ისტორიული თემატიკა პ. კაკაბაძის შემოქმედებაში, („ეახაბერის ხმალი", „მეფე ვახტანგ პირველი გორგასალი"). პ. კაკაბაძის დრამატურგიის მხატვრული თავისებურებანი.

გიორგი ლეონიძე (1899—1966). ბიოგრაფია. პატრიოტული მოტივები პირველი პერიოდის ლექსებში („ზარი", „გულს"). სიმბოლიზმის გავლენა ადრინდელ შემოქმედებაში („ზამთრის მელოდია", „ავტოპორტრეტი"). სოციალისტური სინამდვილის გამოხატვა. განახლებული სამშობლოსა და რევოლუციის თემები გ. ლეონიძის პოეზიაში („მისალმება აზერბაიჯანის პოეტებისადმი". „ვუშერ სამშობლოს", „გმირი და პოეტი" და სხვა). პოემები („სამგორი", „ფორთოხალა", „ბერშოულა" და სხვა). საქართველოს წარსული ლეონიძის ლექსებში (ციკლი „ქართლის ცხოვრება" და სხვა). ლირიკული ლექსები („ქართლის ბაღი", „მთაწმინდიდან ქარს

მოჰქონდა“, „ყივჩაღის პაემანი“, „ოლე“, „მყვირალობა“, „ნინო ჭავჭავაძე“). სამამულო ომის ასახვა („არ დაიდარდო, დედაო“, „ქართველ მხედრებს“, „შინ მოუსვლელო, სადა ხარ“). ომისშემდგომი პერიოდის ლექსები („რაიკომის მდივანი“, „კომუნიზმის ხარაჩოები“, „უნგრული ლექსები“). პროზა („ნატვრის ხე“). გ. ლეონიძე — ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გ. ლეონიძე — მკვლევარი. მისი პოეტიკა.

სიმონ ჩიქოვანი (1902—1966). ბიოგრაფია. ფუტურისტული პერიოდის ლექსები („ცირა“, „სანაპირო სიმღერა“, „მეკამეჩეების ურმული“). ბრძოლა ბურჟუაზიულ-დეკადენტური ესთეტიკის პრინციპებთან („ჩემი სიტყვა მემარცხენეების დისპუტზე“, „ძველ პოეტს“, „ბრძოლა რომანტიზმთან“). ფუტურისტული კონცეფციების დაძლევა და ახალი სინამდვილის ასახვა რეალისტური მეთოდის გამოყენებით („მთაო, გადმიშვი“, „პოეტის საქმე“, „გამოთხოვება სიყმაწვილესთან“). სოციალისტური სამშობლოს, პატრიოტიზმის თემა მის ლირიკაში („ვინა სთქვა“, „არ დაერქმევა ჰატარა მხარე“, „ძველი მცხეთა“, „მშობლიურ ხალხს“, „საარჩევნო სიმღერა“). პოემა „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ და ხალხთა ძმობის ისტორიული ფესვების გამოსახვა მასში. სამამულო ომზე შექმნილი ლექსების ციკლი („მამულს ვუთხრათ გამარჯვება“ და სხვა). ბოლო პერიოდის შემოქმედება (საზღვარგარეთული ლექსების ციკლი და „განჯის დღიური“). სიმონ ჩიქოვანის პოეტური სამყარო.

დემნა შენგელაია (1896). ბიოგრაფიული ცნობები. სიმბოლისტური პროზის გავლენა ადრინდელ ნაწარმოებებში. თავადაზნაურობის ეკონომიკური და სულიერი დაცემულობა-გადაგვარების ჩვენება („სანავარდო“, „გურამ ბარამანდია“). ყოფითი რომანი („ბათა ქექია“). ძველი თბილისის კოლორიტული აღწერა („ირმის ნახტომი“). მუშათა კლასისა და ინტელიგენციის წარმომადგენლების გამოსახვა („შთაგონება“). დიდი სამამულო ომის თემა („წითელი ყაყაჩო“). მოთხრობა „განძი“. დ. შენგელაიას პროზის მხატვრული თავისებურებანი. დ. შენგელაიას ლიტერატურული წერილები.

ალიო მირცხულავა (1903—1971). ბიოგრაფია. ა. მირცხულავა და პროლეტარული მწერლობის მეორე თაობა. ამ თაობის წარმომადგენლები. ა. მირცხულავა, როგორც ამ თაობის მეთაური, ბრძოლისა და რევოლუციის პოეტი („პოეტი კაპიტანი“, „ჩემი ცხოვრების მთავარი თემა“). კომკავშირის თემა ა. მირცხულავას პოეზიაში („დამკვრელი ბრიგადები“, „ლაითურის კომკავშირი“). საბჭოთა პატრიოტიზმის თემა. სოციალისტური მშენებლობისა და ახალი ადამიანის ჩვენება („ენგური“, „განგაში“). სამამულო ომის თემა ა. მირცხულავას პოეზიაში. ომისშემდგომი პერიოდის ლირიკა („ვერხვი“, „გული“ და სხვ.). პოემა „რუსთაველი“. ლექსის ფორმა, სტილი, მხატვრული თავისებურება.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე (1905) ბიოგრაფიული ცნობები. კ. ლორთქიფანიძის ადრინდელი პროზა („პირველი დედა“, „ნავსი“ და სხვ.). საკოლმეურნეო მშენებლობის ასახვა, ახალი გმირის სახის გახსნა („კოლხეთის ციასკარი“). მომძე ხალხთა ბრძოლისა და ყოფის გამოხატვა („ბელორუსული მოთხრობები“). სამამულო ომის თემა კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში („როგორ მოკვდა მოხუცი მებადური“, „მწვანე ღილი“, „სიკვდილი ცოტას მოიცდის“, „ცაბუნია“). რომანი „ნატვრის თვალი“. კ. ლორთქიფანიძის ნოველები და ნარკვევები. მხატვრული ოსტატობა.

ირაკლი აბაშიძე (1909). ბიოგრაფიული ცნობები. ი. აბაშიძე და პროლეტარული მწერლობის მესამე თაობა. კომკავშირის თემატიკა ი. აბაშიძის შემოქმედებაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლების სინამდვილის ამსახველი ლექსები („პირველი თოვლი“, „სიმღერა“, „ოდიშის პლანტაციები“). სამამულო ომის თემა („კაპიტანი ბუხაიძე“, „ქართველი მეომრები“, „როცა ბ[illegible]ანდენაურგს უახლოვდები“, „ლესელიძის ხსოვნას“). საბჭოთა პატრიოტიზმის თემა („აქ დავიბადე“, „სამი ციხე“). ომისშემდგომი პერიოდის მშვიდობიანი მშენებლობის გამოსახვა („სიმღერა მკის დროს“). ლექსების ციკლი „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „პალესტინა, პალესტინა“. საბავშვო ლექსები.

გრიგოლ აბაშიძე (1914). ბიოგრაფიული ცნობები. გ. აბაშიძის ლექსების პირველი კრებული. პატრიოტული ლირიკა. სამამულო

ომის თემა გ. აბაშიძის პოეზიაში („ძლევის ქედი“, „ზარზმის ზმანება“). ომისშემდგომი პერიოდის ასახვა გ. აბაშიძის პოეზიაში (ლექსების ციკლი „სამხრეთ საზღვარზე“. „სამგორის ველზე“). დრამატული პოემა „მოგზაურობა სამ დროში“. ისტორიული რომანები („ლაშარელა“, „დიდი ღამე“. „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“) გრიგოლ აბაშიძე და საბავშვო მწერლობა.

ომისშემდგომი ქართული მწერლობა
(70-იან წლებამდე)

არაჯანსაღი მხატვრული ტენდენციების წარმოშობა საერთოდ საბჭოთა ლიტერატურაში ომის დამთავრების პირველ ხანებში. სწრაფვა უსაგნო ლირიკისაკენ და აპოლიტიკურობის რეციდივები. სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946—1948 წლების დადგენილებანი ხელოვნებისა და ლიტერატურის იდეურობის შესახებ და მათი როლი ქართული მწერლობის განვითარებაში. ლიტერატურული კრიტიკის ბრძოლა ფორმალიზმისა და „უკონფლიქტობის“ თეორიის წინააღმდეგ, მხატვრული სისადავისა. ოსტატობისა და მაღალი იდეურობისათვის. საქართველოს მწერალთა კავშირის მესამე (1946) მეოთხე (1954) ყრილობები. ახალი თაობის მოსვლა (ა. კალანდაძე. ო. ჩხეიძე, რ. ჯაფარიძე, ნ. დუმბაძე, კ. ბუაჩიძე. ვ. კანდელაკი. რ. ინანიშვილი. მ. მაჭავარიანი, ა. სულაკაური, ო. იოსელიანი. მ. ლებანიძე. ლ. მრელაშვილი. გ. რჩეულიშვილი, ჭ. ამირეჯიბი. შ. ნიშნიანიძე, ო. ჭილაძე, ჯ. ჩარკვიანი, გ. ფანჯიკიძე და სხვ.).

პატრიოტიზმი და სამამულო ომი როგორც ომისშემდგომი ქართული ლიტერატურის მთავარი თემა და მოტივი. მისი ახლებური გააზრება და გაღრმავება. ხალხთა მეგობრობის. ჰუმანიზმის, ინტერნაციონალიზმისა და ზოგადსაკაცობრიო იდეების გამოსახვა. ფილოსოფიურ-ეთიკური პრობლემატიკით დაინტერესება. თემატური მრავალფეროვნება. ჟანრობრივი სიახლენი. ნეგატიურ მოვლენათა კრიტიკა და მამხილებელი პათოსი 60—70-იანი წლების ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. ქართული ლირიკის თანამედროვე ბუნება — „ცნობიერების ნაკადის“ გამოვლენა. პოეტური ეპოსის აღმავლობა. თანამედროვე ქართული დრამატურგია. თანამედროვე საბავშვო ლიტერატურა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის იანვრის დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“ და მისი როლი ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურული კრიტიკის განვითარებისათვის. მწერლობის დაახლოება ხალხის ცხოვრებასთან, მისი აქტივობის გაძლიერება პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა შესრულებისათვის. მოქმე ერთა ლიტერატურის ურთიერთ მჭიდროდ დაკავშირება, ურთიერთ გამდიდრება და განვითარება, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი პროცესი.

თანამედროვე ქართული ლიტერატურისმცოდნეობა და ლიტერატურული კრიტიკა. სოციალისტური რეალიზმის პრინციპების დაცვისათვის ბრძოლა. ლიტერატურული მოვლენების შესწავლის კომპლექსური მეთოდი. ჟურნალი „ცისკარი“, ალმანახები „კრიტიკა“. „საუნჯე“. „განთიადი“. როგორც ამ დროის ახალი ლიტერატურულ-ბეჭდვითი ორგანოები.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მეექვსე და საქართველოს მწერალთა კავშირის მერვე ყრილობის მასალები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 25-ე და საქართველოს კპ 25-ე ყრილობის ისტორიული დადგენილებანი და ქართული საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

ლ. ი. ბრეჟნევის წიგნების—„მცირე მიწა“, „აღორძინება“, „ყამირი“ მნიშვნელობა თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების გააქტიურებისა და ამაღლებისათვის.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ხელოვნების შესახებ, ტ. I და II, 1958 წ. (რუსულ ენაზე).

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი — ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, 1957 წ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი იდეოლოგიურ საკითხებზე.

სკკპ 25-ე ყრილობის მასალები.

საქართველოს კპ 25-ე ყრილობის მასალები.

დასახელებულ მწერალთა თხზულებანი.

ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე — რჩეული თხზულებანი, 1967 წ.

ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი — რჩეული ნაწერები, 1958 წ.

ვ. ბ ა ხ ტ ა ძ ე — რჩეული ნაწერები, 1961 წ.

ბ. ბ უ ა ჩ ი ძ ე — კრიტიკული წერილების კრებული, 1960 წ.

დ. ბ ე ნ ა შ ვ ი ლ ი — კრიტიკული ნარკვევები XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე, ტ. I, 1967 წ.

კ. გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა — რჩეული თხზულებანი, ტ. VI და VII.

ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა — რჩეული ნაწერები, ტ. I და II.

დ. თ ე ვ ზ ა ძ ე — თანამედროვე ქართული მწერლობის საკითხები, 1962 წ.

ა. თ ო ფ უ რ ი ა — ლეო ქიაჩელის ცხოვრება და შემოქმედება, 1977 წ.

ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე — ლიტერატურული წერილები, 1972 წ.

ტ. კ ვ ა ნ ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი — მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, 1966 წ.

გ. მ ე რ კ ვ ი ლ ა ძ ე — რომანი და ეპოქა, 1973 წ.

რ. მ ი შ ვ ე ლ ა ძ ე — თანამედროვე ქართული პოემა, 1975 წ.

გ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი — წინაპრები და თანამედროვენი, 1961 წ.

შ. რ ა დ ი ა ნ ი — თანამედროვენი, 1965 წ.

ტ. ტ ა ბ ი ძ ე — თხზულებანი, ტ. II, 1966 წ.

გ. ქ ი ქ ო ძ ე — რჩეული თხზულებანი, ტ. I, II, III.

დ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა — მუდმივი თანამგზავრები, 1964 წ.

ს. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — თხზულებანი, ტ. III, 1967 წ.

ვ. ც ი ს კ ა რ ი ძ ე — უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები, 1972 წ.

გ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — ქართული საბჭოთა დრამატურგია, 1960 წ.

ბ. ყ ე ნ ტ ი — მწერლობა და თანამედროვეობა, 1976 წ.

ს. ჭ ი ლ ა ი ა — მე-20 საუკუნის ქართული მწერლობა, I, II, III და IV ტ.

გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე — კრიტიკული ეტიუდები, I, II, III, IV და V ტ.

მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი — რჩეული თხზულებანი, ტ. VI.

კრებული, ნარკვევები მეოცე საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, 1974 წ.

ПРОГРАММА

по новейшей грузинской литературе
для пединститутов

(на грузинском языке)
Тбилиси—1979

უფასო

ნაბეჭდი თაბახი 1,5
შ. 284

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,18
ტ. 2000

ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედინსტიტუტის სტამბა, ქუთაისი, კიროვის 55.
Тип. Кутаисского пединститута, им. А. Цулукидзе, Кутаиси, ул. Кирова, № 55.